ბასილი დიდი

კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი

დიდსა ხუთშაბათსა ცისკრად საკითხავი, თქმული ამისთვის: „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ სასუმელი ესე“

თბილისი

„წიგნის სავანე“

2015

ბასილი დიდი

კესარია-კაბადუკიელი მთავარეპისკოპოსი

დიდსა ხუთშაბათსა ცისკრად საკითხავი, თქმული ამისთვის: „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ სასუმელი ესე“ (მათე. 26,39)

არაით დაკლებულ არიან მოძღუარნი ეკლესიათანი დედასა შვილთმოყუარესა, რომელი ყოველსავე სალმობასა და შრომასა დაითმენნ და საყუარელთა შვილთა ზრდინ. ვითარცა-იგი მან ძუძუი მისცის-სძე იგი საზრდელი, ეგრესახედ უშრომელად საყუარელთა შვილთა თვისთა მოძღუარმან ეკლესიისამან - მდედრი იგი გონებაი, და ყოველთავე ეკლესიათა სურვილითა სულისაითა ჰლოცავნ მოსლვად სძითა მით სიტყვისაითა.

და ვითარცა დედამან შემდგომად სძისა ფიცხელი პური დაულბილის და მხალსა თანა ერბოითა და მსახურ ცხოვრებულ ექმნის შვილთა თვისთა, ეგრეთვე მოძღუარნი იგი შემდგომად სწავლისა მის სიტყვითა, ვითარცა სულითა, განზარდის ძნიად სათარგმანებელი იგი სიტყუაი, სიტყვითა მით მახვილითა სულისაითა დააჩჩვის თარგმანებითა სულითა წმიდათაგანთაითა, ერთბამად შეზავებულად მოძღურებითა შეკრებს და გემოვნად სიტყუასა მის მიერ ზრდილთა ყოველთა მისცემს. ამისთვისცა ჩუენ, საყუარელნო, წინასწარ დღეთა ამათ მყის დაჩჩვილითა მით სიტყვითა, ვითარცა პურითა, განვიზარდენით. აწ უფროისისა მოძღურებისა ხილვად მოვედით, რომელნი სულმან წმიდამან სიტყუაი იგი მოძღურებისაო მოგუცეს ჩუენ. არს ჩუენ წინაშე გან...დებულ წიგნთა... პური იგი სიტყ... სიტყუად რაი..., უფალი ჩვენი იესუ ქრისტე, რომელი ყოველთა კაცთა ცხოვრებისა... თავსდებად ვნებისა და სიკუდილისა. მო-რაი-ვიდოდა იგი ჯუარცმად, იტყოდა: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს თანაწარსლვად სასუმელი ესე, თანა-წარმხედინ მე.“ (მათე, 26,39). მრავალთა ვერ უცნობიეს ზრახვაი ესე სიბრძნისაი, საუნჯე დაფარული და სიტყუასა ამას ვერ კეთილად ერჩიან და ვითარცა მოშიშსა იტყვიედ მას.

არამედ მოვედით, საყუარელნო, და ჩუენცა, ვითარცა ჩჩვილნი ყრმანი, მისა მიმართ ვიტყოდით, რაითა მისა მიმართ იგი ცხოვრებასა მისსა მივაწიოთ ვათქ... უკუე, აწ არა ვითარცა სრულთა, არამედ ვითარცა ჩჩვილთა რაისათვის უ...აი ხუედ ჩუენ... სასუმელი ესე, უკუეთუ...თვისი დაიმცირე და... დებასაო მიიღე არავისგან იძულებით.

აწ სხუასა ევედრები და იტყვი: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს თანაწარსლვად სასუმელი ესე“ ... და იურვოდე და ისწრაფდი შესუმად სასუმელსა ამას, რამეთუ იტყოდე: ნათელი მოღებად არს ჩემდა, რაოდენ ვისწრაფი, რაითა შევსუა იგი. და რომელი იურვოდე და ისწრაფდი შესუმად, მო-რაი-ხუედ, არა გნებავს და იტყვი: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს თანაწარსლვად სასუმელი ესე“ ... ნუუკუე უმეცარ იყავა ამას, რამეთუ გეგულებოდა ჩუენთვის სიკუდილი? და შენ ხარ, რომელი იტყოდე, ვითარმედ: ჯერ არს ძისა კაცისაი მიცემად... უკუეთუ არა ... რაისათვის... სა პეტრეს: რის... განყენებად და ... რაჟამს ეტყოდა და... „ჯერ-არს ძისა კაცისაი მიცემად და ჯუარცუმად და მესამესა დღესა აღდგომად.“ (ლუკა. 24,7).

გეტყოდა შენ პეტრე: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე.“ (მათე. 16,22). ამას ზედა ჰრისხევდ მას და არქუ: „წარვედ ჩემგან, ეშმაკო, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ. რამეთუ არა ჰზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.“ (მათე. 16,23). უკუეთუ ამას ჰზრახევდ, მაშინ, ვითარცა კაცობრივსა მასა... აწ რაი... გნებავს... მაშინ გაყენებდა.

„მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე.“ შენ დამბადებელად ყოველთა ხილულთა და უხილავთა გიცით, რამეთუ შენ მიერ იქმნა... ნსა არცა იქმნა და გიცით შენ... ფესუთა სამოსლისა შენისაითა განუხმე და ხუთითა ხუეზითა პურითა ხუთ ათასნი განაძღენ უხუად.

ქართა და ზღუასა შეჰრისხენ და გერჩდეს შენ შიშით და ძწოლით. (მათე. 8,26). ესოდენთა საკვირველთა მოქმედსა და სიკუდილისა განმხსნელსა აწ უკუე სიკუდილისაგან გეშინისა? ვინაი უკუე მაქუნდეს ჩუენ ცხოვრებისა ჩუენისა სასოებაი? და უკუეთუ გეშინის შენ სიკუდილისაგან, ვითარ-იგი იტყოდე და სთქუ: „მე ვარ აღდგომაი და ცხოვრებაი“ (იოანე. 11,25). ცხოვრებასა და აღდგომასა სიკუდილისაგან არა შინ... რაიმე არს, რომელსა იტყვის: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, სასუმელი ესე თანა-წარმხედინ.“ უკუეთუ... მეხარა, რომელმან კურთხევადმდე მისსა... მე უწყია, ვითარ ანუ შესაძლებელ არს, ანუ არა თანაწარმხედინ სასუმელი... რამეთუ ღმერთი ხარ და ძე ღმრთისაი, სიტყუაი, სიბრძნე და ძალი ნათელი და მზე სიმართლისაი, წყაროი უკუდავებისაი და ცხორებისაი, საუკუნოი აღდგომაი ჩუენ ყოველთაი, რომელნი ცოდვასა შინა მომწყდარ ვიყვენით, შენ მიერ ცხოველ ვიქმნენით.

„მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე.“ ჰოი, რავდენ ძნიად შესაძლებელ არს და მისაწდომელ სიტყუაი ესე და ძნიად საცნაურ.

ჰოი, რაოდენ იწრო არს და შესაჭირვებელ მრავალთა მიერ კაცთა. მასწავე შენ საიდუმლოი სიტყვისაი მაგის შენისაი, უფალო, რამეთუ შენნი ვა... შენი გურწმენა, ნუ აღმაღლდებინ... რი იგი... თვისაა... და... მიმართ უფლისა ჩუენისა არს... განაღვიძე გულთა... ბასა ვითარცა შვიდსა მა დთისაა(!) და მომეც ჩუენ ერთი სიტყუაი ქვისა მისებრ, რაითა ვსტყორცოთ თავსა მას უღვთოებისა მათისასა და შევმუსროთ, რაითა

ცნას ყოველმან ბანაკმან, რამეთუ შენ უფალი მხოლოი ხარ ყოველსა ქუეყანასა. რამეთუ მრავალი ერი მწვალებელთაი შეკრებილ არს ჩუენ ზედა ამის სიტყვისა ბრძოლად, რომელსა იტყვი: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ სასუმელი ესე.“ აწ ევნომიოს მოსცხრების და არიოზ იხარებს, რამეთუ პოვეს ისარი სიტყვითა გმობისაითა და ჭეშმარიტებასა ზედა იზახებენ.

არამედ ნუვე იხარებთ ყოველნი ეგე უცხოთესლნი, რამეთუ შეჰმუსრა უღელი გმობისა თქუენისაი, ჩუენ თანა არს ღმერთი, გულისხმა-ჰყავთ ... არმრთ... ლურდით, დაღათუ კუალად განძლიერდით, მო-ვე-უძლურდეთ და ზრახვაი, რომელი იზრახოთ, გან-ვე-აქარვ... რამეთუ ჩუენ თანა არს ღმერთი. რამეთუ პირი უფლისა, ყოვლისა მპყრობელისაი, იტყოდა ამას: „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ სასუმელი ესე.“ სასუმელი უკუდავებისაი წყაროითა სავსე, რომელი მიიღეს ევნომიოს და არიოზ თვისითა ბოროტად ურწმუნოებითა, მრღვიე იქმნნეს და მოყუასთა თვისთა ასუმენ აღთქუეფულსა მრღვიესა, რომელ მას შინა ტკბილი, განზავებული ცნობათაი, მწარე ჰგონიეს. არცაღა ვაი იგი ხმისაი მის ეშინის, რომელსა იტყვის წიგნი: ვაი ბრძენთა მათ თავით თვისით და წინაშე მათსა მეცნიერებასა. ხოლო ჩუენ, საყუარელნო, მოვიღოთ სასუმელი იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და მას შინა სახე იგი სიტკბოებისა მოძღურებისაი სურვილითა სასუმელისაითა ვსუათ.

„მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, სასუმელი ესე გარე-წარმხედინ.“ არა ეგრე, ვითარ შენ ჰგონებ... არიოზ, ვითარმცა შეშინდა უფალი და შიშითა სიკუდილისაითა იტყვის ამას.

უკუეთუმცა ეშინოდა, რომელსა ხელმწიფებაი აქუს სიკუდილისაი და არასიკუდილისაი, რამეთუ იტყვის: „ხელმწიფებაი მაქუს დადებად სულისა ჩემისა და ხელმწიფებაი მაქუს კუალად მოღებად იგი“ (იოანე. 10,18). უკუეთუ იძულებოდა ვისგანმე, კეთილად სამემცა იტყოდა, რამეთუ ეშინოდა. ხოლო აწ თავადი იტყვის: „ხელმწიფებაი მაქუს დადებად სულისა ჩემისა და ხელმწიფებაი მაქუს კუალად მოღებად იგი.“ არამედ „ვითარცა თავი თვისი დავიმცირე და ხატი მონებისაი მოვიღე“ (ფილიპ. 2,7). და არავინ მაიძულა მე და თვისნი ხორცნი თავით ჩემით ვიშენენ. რამეთუ „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი“ (იგავნი. 9,1), ეგრევესახედ ძალ-მიც, და-რაი-ჰხსნდეს ხორცნი ჩემნი სიკუდილითა და აღდგინებად იგი ცხოვრებითა, რამეთუ მე ვარ, რომელი ვიტყოდე: „დაარღვიეთ ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვაშენო ეგე“ (იოანე. 2,19; მათე. 26,61; 27,40; მარკოზი. 14,58; 15,29). და აწ უკუე არა შიშითა სიკუდილისაითა ვიტყვი: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ სასუმელი ესე,“ არამედ დაფარულსა საიდუმლოსა სიტყუასა სიბრძნით წარმოვიღებ, ამას სიტყუასა შესატყუვნელი არს ეშმაკმან, რამეთუ მრავალნი სასწაულნი ვქმნენ, რამეთუ სნეულნი შეხებითა ხელისაითა განვკურნენ და ლეგეონი ეშმაკი სიტყვითა განვდევნე და განკეთრებული თოვლისსახედ სიტყვითა განვწმიდე და დახსნილნი მუხლნი ხელითა აღვჰმართენ და ქართა და ზღუასა უბრძანე და ყოველნივე მერჩდეს მე შიშით და ძწოლით. მკუდარნი აღვადგინენ,

მკელობელნი ვავლინენ, გლახაკთა ვახარე და ამათ საქმეთაგან მიხილა მე ძედ ღმრთისა და გულისხმა-ყო, უკუეთუ მე ჯუარს-ვეცუა და იგი წარწყმდეს. უკუეთუ მე შთავხვდე ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა, მოქლონნი იგი რკინისანი განვტეხნე და ბჭენი რვალისანი შევმურნე. და ესე იხილოს და ცნას შიშით. ივლტოდის აღმართებად დიდისა და პატიოსნისა მის ძელისა ჯუარისა. აწ უკუე რაი ვთქუა ამისთვის, სიბრძნით ვიტყვი: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, სასუმელი ესე თანა-წარმხედინ მე," რაითა ესევითართაგან მდაბალთა სიტყუათა ვეგონო, ვითარცა კაცი მოშიში, რომელი ევლტინ სიკუდილსა და ისწრაფის ყოვლისა ქუეყანისა... აღმართებად ძელი იგი საიდუმლოი ჯუარისაი, რომელი ჰგონიეს ჩემდა ბოროტ. ჯერ-არს ჩემდა, ვითარცა ბრძენისა მესათხევლისა მონადირებაი მისი... ჯერ-არს ჩემდა ყოველივე დათმენად ყოველთა ცხორებისათვის, უკუეთუ მან მოიმანქანა დასაბამსა ადამის წარწყმედისათვის, რაოდენ-მე უფროის თავს-ვიდვა ყოველთა ცხორებისათვის? სიტყვითა ზაკულებისაითა აცთუნა ადამი. აწ სიტყვითა ღმრთეებისაითა სცთეს - „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ სასუმელი ესე." რაჟამს თევზისა მონადირემან შთააგდის სამჭედური ზღუასა, ოდესმე შორად შეაგდის სამჭედური, ოდესმე რეცა მოსტაცებნ მატლსა მას და გამოიზიდავნ. უკუეთუ ესრე არა შვის, თევზი იგი არა მოუხდის სამჭედური მას ღმრთეებისა ჩემისასა. მატლი იგი იძრვოდის, რომელი-იგი ჯერ-არს მონადირებად, არა მოუხდეს. აწ ჯერ-არს ჩემდა ვითარცა მატლისა ხატად ყოფად და სიტყუაი, რამეთუ: „მე მატლ ვარ და არა კაც," (ფს. 21,7), რაითა იგი მორბიოდის მატლსა მას და სამჭედურითა შეიპყრას ჩემ მიერ და აღესრულოს თქმული იგი იობის მიერ, ვითარმედ: „შეიპყრა ვეშაპი იგი სამჭედურითა." (იობი. 40,20). ვიქმენ მე ვითარცა მეოტი სიკუდილისაგან, გამოვჩნდე ვითარცა კაცი მოშიში, ვთქუა: „მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე სიკუდიდმდე" (მარკოზი. 14,34). ვთქუა: „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე." მას ესმნეს სიტყუანი ჩემნი და განიხაროს, რამეთუ ისწრაფის წინააღდგომად ჩემდა. „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე."

განიხაროს და თქუას გულსა თვისსა: ვითარცა ესე კაცი ერთი არს... შთავნთქი ადამი, შთავნთქი აბრაჰამი, შთავნთქი ისაჰაკი, შთავნთქი იაკობი, შთავნთქინ მამათმთავარნი და შთავნთქინ წინასწარმეტყველნი, შთავნთქა ესეცა, რამეთუ, აჰა ესერა, ვითარცა კაცსა ეშინის და ვითარცა კაცის არს, შთავნთქა ეგეცა.

შთამნთქინ მე, ვითარცა კაცი. მპოვოს მე მუცელსა მისსა, ვითარცა ღმერთი, რაი ვიქმოდი. „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე." შთავნთქი ცომი ესე ხორცთა ჩემთაი და მპოვოს მე, ვითარცა ნაკუერცხალი უშრეტი ღმრთეებისა ჩემისაი, რომელი ძლიერად შესწუვიდეს მას, რამეთუ „ცეცხლისა მიფენად მოვედ ქუეყანასა" (ლუკა. 12,49). „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ სასუმელი ესე." ვივლტოდი, ვითარცა კრავი, არა მნებავს, რაითა იხილოს ბრწყინვალებაი იგი მახვილისაი მის ღმრთეებისა ჩემისაი, რაითა არა ივლტოდეს მგელი იგი. შთამნთქინ მე, ვითარცა კრავი, ვითარცა შინაგან სამჭედურისა მახვილითა, და ითქუას იგი, რამეთუ: „არა მოვედ მისსა მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა." (მათე. 10,34).

„მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე.“ ვიტყოდი, ვითარცა კრავი, და დავმალო მწყემსი იგი ღმერთი კარავსა მას შინა ხორცთასა. არა მნებავს გამოცხადებად მწყემსი იგი ღმერთი, რაითა არა ივლტოდის მგელი იგი. ვიტყოდი, ვითარცა კრავი: „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე.“

ვიტყოდი, ვითარცა კრავი, რომელსა არა აქუნდეს მწყემსი: „ვიქმენ მე, ვითარცა კაცი შეუწევნელი.“ (ფს. 87,5). შთანმთქინ მე, ვითარცა კრავი, და შინაგან მწყემსისა მის არგნითა ჯუარისაითა შეიმუსროს მარცუალი იგი მდოგვისაი. განმცოხნენ და პოვოს მტკივანებაი იგი ღმრთეებისაი, რომელმან ბოროტად ატკივნოს მას. განმცოხნენ, ვითარცა კაცი, და მპოვოს, ვითარცა მყარი კლდე, რომელმან ძლიერად შემუსრნეს კბილნი, რაითა ისწავოს კაცთაი არღარა ცოხნაი. და აღესრულოს წერილი იგი: „ღმერთმან შემუსრნა კბილნი მისნი პირსა შინა მისსა.“ (ფს. 57,7). „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე.“ უკუეთუმცა იცოდა, ვითარ არს სასუმელი ესე, რომელსა მე ვილოცევ, მიზეზი თანაწარსლვად მას, რამეთუ მისთვის არს საწერტელად, ხოლო ჩემ მიერ ცხორებაი. რაჟამს შთანმთქას მე, მაშინ ცნას, რაი-იგი შთანთქა. რაჟამს იხილოს ჩემთვის მზე დაბნელებული და დღე განქარვებული, მაშინ იგიცა განმწარდეს და აღესრულოს წერილი: ჯოჯოხეთი შენ ქუეშე განმწარდა შემთხუევასა შენსა.

„მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე.“ ნუ შეგაეჭუებენ შენ ესევითარნი სიტყუანი, სიბრძნით თქუმულნი. მელოდეთ მე და იხილოთ გამოსლვაი სიტყუათა ჩემთაი. მაშინ გიკვირდეს სიბრძნე ეგე თქუმულთა ჩემთაი და ნუ სისულელე გიჩნ მანქანებაი ესე. და მან არა იცის, რამეთუ სისულელე ეგე ღმრთისაი უბრძნეს კაცთა არს, რამეთუ ჰგონიეს სიტყუათა ამათ ჩემთაგან, ვითარცა უძლური ვინმე. არა იცის, რამეთუ მე შევსუა სასუმელი ესე, ხოლო იგი დაითროს და დაბნელდეს და ჩემთა განიღვიძონ და აღდგენ. აწ უხარის ჩემთა მათ მდაბალთა სიტყუათა ზედა: „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმხედინ მე სასუმელი ესე.“

რაჟამს შთანმთქას მე და იხილნეს კლდენი განხეთქილნი, სამარენი აღხუმულნი და მკუდარნი აღდგომილნი (მათე. 27,51-52). და თვით იგიცა განსთქდეს და მკუდარნი გამოვიდნენ ცოცხალნი და ზეცად აღვიდენ. რაჟამს იხილოს ესე ყოველი, ინანდეს და იგლოვდეს, რომელთა-იგი საყუარელთა ზედა იხარებს. არა იცის, რამეთუ რომელსა საბრხესა დააგებს, და იგივე შევარდეს მას და აღესრულოს წერილი იგი: „ხნარცუ თხარა, აღმოჰკუეთა და შთავარდა იგი მთხრებლსა მას, რომელცა ქმნა“ (ფს. 7,16). რამეთუ არა იცის, რომელ ეგულების აღმართებად ჯუარი. რამეთუ ჩემდა არს პატივ და მისა - მახვილ, ჩემდა არს ტაძარ და მისა - სიკუდილ, ჩემდა არს დიდება და მისა - წარსაწყმედელ.

ჰოი სასუმელისაი ამის, რომელი არს ეშმაკისა საწერტელ, ხოლო ცხოვართა განმათავისუფლებელ და ცოდვილთა მლხინებელ და უკუდავებისა სასუმელ და

სასუფეველისა მომნიჭებელ, ცხოვრებისა შემოქმედ და ყოველთა კაცთა წინამძღუარ და სასო.

ესე სასუმელი შევსუათ ჩუენ ყოველთა ქრისტე იესუის მიერ, ღმრთისა ჩუენისა, რომლისაი არს დიდებაი და პატივი უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

წყარო: „კლარჯული მრავალთავი“ - თბ. „მეცნიერება,“ 1991. - გვ.221-226.